პროფ. დრ. დანიელ ვაიდნერი

პროფ. დრ. დანიელ ვაიდნერი (DANIEL WEIDNER; HTTP://BIT.LY/1EZ8VRT) გერმანისტი და შედარებითი ლიტერატურისმცოდნე, ბერლინის ლიტერატურისა და კულტურის კვლევის ცენტრის (ZFL) დირექტორის მოადგილეა.

ფრაიბურგში, იენასა და ვენაში ფილოსოფიის, სოციოლოგიის, გერმანისტიკისა და მეცნიერების თეორიის შესწავლის შემდეგ, ვაიდნერმა 2000 წელს ბერლინის თავისუფალ უნივერსიტეტში დაიცვა დისერტაცია გერშომ შოლემზე. 1996 წლიდან ვენის უნივერსიტეტში ის სალექციო კურსებს უძღვებოდა მეცნიერების თეორიის დარგში, 2000 წლიდან კი ასწავლიდა კულტურის მეცნიერებას ბერლინის ჰუმბოლდტის უნივერსიტეტში. 2001 წლიდან კითხულობდა ლექციებს შედარებით ლიტერატურისმცოდნეობასა და გერმანისტიკაში ბერლინის ჰუმბოლდტის, ბერლინის ტექნიკურ, ბერლინის თავისუფალ და გისენის უნივერსიტეტებში. 2000-2005 წლებში ვაიდნერი იყო ZFL-ის პროექტის - „საკრალურის ფიგურა სეკულარიზების დიალექტიკაში“ - თანამშრომელი, 2005 წლიდან კი სხვადასხვა კვლევითი პროექტის ხელმძღვანელია ამავე ლიტერატურისა და კულტურის ცენტრში. იგი ZFL-ის დირექტორის მოადგილეა 2010 წლიდან.

2009 წელს ვაიდნერი იყო სტენფორდის უნივერსიტეტის მოწვეული ასისტენტ-პროფესორი. იმავე წელს, ბერლინის თავისუფალ უნივერსიტეტში დაიცვა ჰაბილიტაცია, ნაშრომით „ბიბლია და ლიტერატურა 1800 წლისათვის“. 2012 წლის ზაფხულის სემესტრში ვაიდნერი იყო მოწვეული პროფესორი ჩიკაგოს უნივერსიტეტში.
პროფ. დრ. დანიელ ვაიდნერი ავტორია შემდეგი მონოგრაფიებისა:
GERSHOM SCHOLEM. POLITISCHES, ESOTERISCHES UND HISTORIOGRAPHISCHES SCHREIBEN. [გერშომ შოლემი. პოლიტიკური, ეზოთერიკული და ისტორიოგრაფიული წერილი.] FINK, მიუნხენი 2003, ISBN 978-3-7705-3754-9;
PROFANES LEBEN. WALTER BENJAMINS DIALEKTIK DER SÄKULARISIERUNG. [პროფანული ცხოვრება. სეკულარიზების ვალტერ ბენიამინისეული დიალექტიკა.] SUHRKAMP, ბერლინი 2010, ISBN 978-3-518-29563-2;
BIBEL UND LITERATUR UM 1800. [ბიბლია და ლიტერატურა 1800 წლისათვის.] FINK, მიუნხენი 2011, ISBN 978-3-7705-5000-5.